

ნონა კუპარიშვილი
(საქართველო)

ვახტანგ კოტეტიშვილი

ვახტანგ კოტეტიშვილი იმ სახელოვანი და ტრაგიკული თაობის წარმომადგენელია, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოსთვის ემზადებოდა, თუმცა ცხოვრება და მოღვაწეობა ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში მოუწია. ფართო მკითხველისთვის ვახტანგ კოტეტიშვილი, პირველ ყოვლისა, ცნობილია, როგორც ფოლკლორისტი, თუმცა მისი ვაჟის, ვახუშტი კოტეტიშვილის, მოგონებათა წიგნში „ჩემი წუთისოფელი“ იპოვით სრულ ჩამონათვალს იმ პროფესიებისა, რომელსაც ეს გამორჩეული პიროვნება ფლობდა: ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერ-მკვლევარი, ფოლკლორისტი, ლექტორი, მოქანდაკე, ხელოვნებათმცოდნე, პუბლიცისტი. ამას ემატება მის მიერ განეული ღვაწლი ფოლკლორისტიკისა და ქანდაკების პირველი სამეცნიერო განყოფილებების შექმნაში, პოეტიკისა და ფოლკლორის სალექციო კურსების გაძღოლაში, პირველი ქართული ფოლკლორისტული ექსპედიციების ორგანიზებაში და ამ ბაზაზე ფოლკლორისტიკის ათტომეულის გამოცემის მომზადებაში; ამასთან ერთად ალექსანდრე ყაზბეგის აუთენტურობის დადგენასა და ამ თემაზე საგანგებო ნაშრომის შექმნაში. ვახტანგ კოტეტიშვილმა პირველმა შემოიყვანა ქართულ ლიტერატურულ სივრცეში უოლტ უიტმანი და მას საგანგებო წერილი უძღვნა. მანვე კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად თარგმნა რუსული ფორმალისტური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ვიქტორ შკლოვსკის, რომანი „სენტიმენტალური მოგზაურობა“.

მიხეილ ქურდიანი, მე-20 საუკუნის 10-20-იანი წლების ქართული ლიტერატურის ანგარიშგასაწევი მკვლევარი, ვახტანგ კოტეტიშვილს ახალი ქართული ესთეტიკის შემქმნელს უწოდებს. ამ მოსაზრების სისწორეში გვარწმუნებს იმდროინდელი პრესის ფურცლებზე გაბნეული ლიტერატურული წერილები, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი დაექვემდებარა რეპუბლიკაციას. რაც შეეხება პუბლიცისტიკას, ამ მხრივ მგდომარეობა უფრო რთულადაა, რადგან ვახტანგ კოტეტიშვილზე, როგორც სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრზე, როგორც არჩილ ჯორჯაძის საზოგადოებრივ-ესთეტიკური იდეების მიმდევარზე და ბოლოს, როგორც თანამედროვე ლიტერატურული პროცესების შემფასებელზე, ჩვენ პრაქტიკულად ცოტა რამ ვიცით.

არჩილ ჯორჯაძემ, ტიცინ ტაბიძეს თუ დავიმონძემ, „თავის თავზე განიცადა მთელი ტრაგედია მეცხრამეტე საუკუნის საქართველოსი“. მანვე დაუსახა ახალგაზრდა ლიტერატორებს, რომელთა შორის საკუთარ თავს სრულიად ლოგიკურად ვახტანგ კოტეტიშვილიც მოიაზრებდა, კულტურის უწყვეტობის პრინციპის დაცვით ახალი მოდერნისტული ხელოვნების შექმნა. პასუხისმგებლობა ქართულ კულტურაზე, მის რეფორმაციასთან ერთად, წინაპართა სწორი გზის კვალში დგომასაც გულისხმობდა. ამიტომაც ჯერ კიდევ დორპატიდან (დღევანდელი ტარ-

ტუდან) 1914 წელს ჟურნალ „განათლებისთვის“ გამოგზავნილ წერილში „შავი სიტყვა“ სრულიად ახალგაზრდა ვახტანგ კოტეტიშვილი ილიასეული სიმკაცრით ამხელს იმ შიშის უსაფუძვლობას, რომელიც ქართულ ლიტერატურულ წრეებში სიახლის მიმართ არსებობს. აგრეთვე ხელოვანთა და მწერალთა ინტელექტუალური დონის ამალვებას, რაც, მისი აზრით, აუცილებელია შემოქმედებითი მეთოდების უკიდურესი გართულების პირობებში. უნდა დამთავრდეს ეს შეუწყნარებელი უცოდინარობა და დილექტანტიზმი, რომელიც კარგა ხანს იყო „შინგაზრდილი ხელოვნების“ ფარიც და მახვილიც. მართალია, მაშინ ეს წერილი არ დაიბეჭდა, თუმცა ლიტერატურისა და ხელოვნების საშუალებით ქართული კულტურის (ე.ი. ქვეყნის) მსახურების პათოსი ავტორს სიცოცხლის ბოლომდე შერჩა.

ხშირად ამბობენ, რომ ვახტანგ კოტეტიშვილი რენესანსული ტიპის მოღვაწე იყო. ეს თავისთავად სწორი შეფასებაა, თუმცა მასში ჩვენი კულტურული ცხოვრების პრობლემატური ხასიათიც იკვეთება. კულტურის სხვადასხვა დარგი ასაღორძინებელი და მაშინდელ უმაღლეს (ძირითადად ევროპულ) სტანდარტებთან გასათანაბრებელი იყო, ამიტომაც ერთსა და იმავე ადამიანს განსხვავებული ინიციატივების გამოჩენა უნევდა. სხვათა შორის, საკუთარი თანათაობელების ამ საკმაოდ რთულ მისიას კარგად აცნობიერებდა ვახტანგ კოტეტიშვილი, როდესაც 1915 წელს, ვაჟა ფშაველას დასაფლავების დღეს, ქართველი სტუდენტების სახელით სიტყვას წარმოთქვამდა: „...ნუთუ გგონია, რომ შენმა ნათქვამმა ვერ იპოვნა კარგი გამგონე?... მამავ ძვირფასო, გპირდებით, რომ თავისუფლების მოტრფიალე მგოსანს თავისუფალ სამშობლოში გექნება ბინა სამარადისო!“

ეს სიტყვა, ფაქტობრივად, ვაჟას კუბოსთან დადებული ფიცია, რომელსაც მხოლოდ მსგავსი „ფხიზელი პატრიოტიზმი“ თუ გაამართლებდა: „დღევანდელი ჩვენი პატრიოტობა აზროვნების ამალვებით, ხელოვნების გაშლით, სიცოცხლის სიღრმეში შეჭრით უნდა გამოიხატოს... ფილოსოფია საქართველოში, პოეზია, მეცნიერება, ტექნიკა... ეს უნდა გადავაქციოთ მსოფლიო ისტორიის პუნქტებად. ვინც შეძლებს ამას – ის იქნება პატრიოტი...“ თუმცა სამშობლოში დაბრუნებულ ვახტანგ კოტეტიშვილს სულ უფრო უმყარდება იმის შეგნება, რომ ქართულ მწერლობაში აქამდე გაბატონებული დრეალისტური ხელოვნების პოზიციებიდან ახსნილი ერთგვარი სინტაგმა – ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთობის ამბივალენტურ ხასიათს რომ გულისხმობდა, – მოძველდა და საჭიროა მისი ჩანაცვლება ხელოვნების ცხოვრებისაგან გათავისუფლების იდეით (ამას ეფუძნებოდა კიდევ არჩილ ჯორჯაძის „მშვენიერი ტყუილის“ თეორია). „თანამედროვე კულტურა დაფანტულობით არის დანვრღმანებული... უღმერთო ეპოქაა და ამ არეულ სოციალურ აქა-იქ თუ გაიეღვებს რაღაც ნათელი, როგორც ნიცშეს თვალეები, შეაჩქროლებს, როგორც შტირნერის შხამი ან გააცინებს, როგორ უიტმანის ოკეანეს გაღმიდან წამოსული ღრიალი, ანდა მოატყუებს ეფექტიანად მარინეტის ფერადი მანიფესტები“. რაც შეეხება ქართული ნიადაგის მოსიჯვას, არც აქა უსაფუძვლო შეფასებები, რომლებიც (და ეს სავსებით ლოგიკურია) მთლიანად ემთხვევა „ცისფერყანწელთა“ ერთ-ერთი ლიდერის, ტიციან ტაბიძის, შეხედულებებს: „დღემდე საქართველო პასივობის სარეცელში იყო გათანგული. ამ მდგომარეობაში კი შემოქმედება შეუძლებელია. და ის, რაც ცხადდებოდა შემოქმედებად, უფრო პოლიტიკურ პამფლეტებს წააგავდა. ე.წ. პატრიოტული პოეზია ჩვენში პოეტურ ოლიმპზე

არ ასულა არასოდეს და იგიც უცხო სულით, უცხო ხასიათით ინერებოდა... ფანტაზიას (კი) არ შეუძლია მხოლოდ იდეებით არსებობა...“ 1916 წელს ვახტანგ კოტეტიშვილი წერს შიო არაგვისპირელის შემოქმედების საკმაოდ ვრცელ ანალიზს („შავი წიგნი“), რაც ქართული პროზის კონტექსტში ლიტერატურულ-ესთეტიკურ ნოვაციათა სისტემატიზების სურვილს ამჟღავნებს. მოგვიანებითაც, როდესაც ჩვენი კულტურის მოდერნიზების პროცესი, სამწუხაროდ, უკვე ინერციით მიმდინარეობდა, იგი კვლავ აგრძელებს ამ მიმართულებით მოძრაობას და ლიტერატურული პროცესების წლიურ მიმოხილვებთან ერთად გამოთქვამს თავის მოსაზრებებს ვასილ ბარნოვის („ვასილ ბარნოვის პორტრეტი“), გალაკტიონის („გალაქტიონ ტაბიძე“), გრიგოლ რობაქიძის („1922 წლის ქართული ლიტერატურა“), სიტყვის ირაციონალური ბუნების შესახებ („სიტყვის დაპყრობა“, „მუნჯი ინკვიზიტორი“), კულტურულ ორიენტაციაზე („უკან, აზიისაკენ!“, „ევროპის ტყვეობაში“); აგრეთვე კრიტიკის უმნიშვნელოვანეს ფუნქციაზე ახალი ხელოვნების პირობებში („ესთეტიური კრიტიკა“, „ლიტერატურული აზროვნება“) და სხვ.

ვახტანგ კოტეტიშვილი, როგორც სოციალისტ-ფედერალისტი, დიდ იმედებს ამყარებდა საზოგადოების სამართლიანად მოწყობის პრინციპებზე. ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ შექმნილი წიგნებისა და სტატიების გარდა, იგი საგანგებოდ ახდენდა ფილოსოფიური და სოციოლოგიური ნაშრომების შტუდირებას. ამასთან გადაუდებელ საქმედ მიიჩნევდა რუსული რევოლუციისა და რუსული კულტურტრეგერობის მიმართ მართებული პოზიციის გამომუშავებას. ლიტერატურის მუზეუმში დაცულ მის მწირ არქივში, რომელიც ჯერ 1937 წლის დარბევას, მოგვიანებით კი 90-იანი წლების სამოქალაქო ომის დროს კოტეტიშვილების სახლში გაჩენილ ხანძარს გადაურჩა, შემორჩენილია ფრაგმენტები მომავალი სამეცნიერო ნაშრომისა სოციოლოგიაში, ნიცშეს ზარატუსტრას შესავალი ნაწილის თარგმანი, შეხედულებები ინდივიდუალისტური ანარქიზმის ერთ-ერთი თეორეტიკოსის, მაქს შტირნერის, „ერთადერთის“ კონცეფციაზე, ამასთან მე-20 საუკუნისთვის აშკარად მოძველებული პოზიტივიზმისა და მისი ფუძემდებლის ოგიუსტ კონტის, ამასთან მუდმივი ინტერესის აღმძვრელი კანტიანიზმისა და ნეოკანტიანიზმის შესახებ.

დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921) ვახტანგ კოტეტიშვილი განსაკუთრებით აქტიურდება როგორც პუბლიცისტი და ძირითადად გაზეთებში „სოციალ-ფედერალისტსა“ და „სახალხო საქმეში“ აქვეყნებს სტატიებს, რომლებიც ავტორის ანალიტიკური განსჯის უნარის მიუხედავად, პოლიტიკური რომანტიზმისთვის დამახასიათებელ რიტორიკას შეიცავს. არარეალიზებადი, გნებავთ, უტოპიური კი მათში სწორედ ყველაზე ურყევი ჭეშმარიტება აღმოჩნდა: ავტორს სჯეროდა, რომ ინსტინქტებმა გონებაზე ვერ უნდა გაიმარჯვონ, მოხდა კი პირიქით.

ზემოთ ნახსენები „რუსული კულტურტრეგერობა“, ანუ რუსული კულტურის გავლენის გადამეტებული შეფასება და ქართველთა შეგნებაში საკუთარი შესაძლებლობებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების დაძლევა ვახტანგ კოტეტიშვილისთვის კულტურის განახლების განუყოფელი ნაწილია. ისევე როგორც, მოდერნიზმის სანყისი ეტაპისთვის არა ბრმად ნასესხები ან სულაც კოპირებული, არამედ საკუთრივ „ქართული შინაარსის“ მინიჭება. აქედან მისი დამოკიდებულება ზოგიერთი პროევროპელი მოღვაწეებისადმი, რომელთა მიერ დეკლარირებუ-

ლი გავერობილება, „გარუსებას უფრო ჰგავს, რაც უარესია“ („უკან, აზიისაკენ!“). სწორედ ასე ახსნა ვახტანგ კოტეტიშვილის ამ წერილის შექმნის ნამდვილი მოტივაცია მკვლევარმა მანანა ხელაიამ თავის ნაშრომში „მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურული ესე“ (1984): „ამ ესეს პათოსს ევროპული კულტურისადმი გადამეტებული ლტოლვა, ქართული საზოგადოების მიერ საკუთარი მეობის დაკარგვის შიში განაპირობებს. მისი ნამდვილი აზრი ეროვნული თვითდამკვიდრებისკენ მონოდებაა, ევროპის გახსნილ კართან მდგომი მოღვაწის გაფრთხილება“ (მ. ხელაია).

გასაბჭოების პირველ წლებში, როდესაც ბოლშევიკები დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, ხალხთან ერთად ზეიმობენ, როდესაც სამთავრობო სხდომებზე დემონსტრაციულად დასცინიან დასავლეთში გადახვენილი ძველი მთავრობის წევრის მილიუკოვის პრესაში გამოქვეყნებულ განცხადებას რუსეთის მიერ დემოკრატიული საქართველოს ანექსიის შესახებ, ხოლო წითელი კომისარი სერგო ორჯონიკიძე პირობას დებს, რომ ქვეყნის „სტატუს კვო“ ხელშეუხებელია (ამ მოვლენას ვახტანგი ეხმაურება კიდევ წერილით „კომუნისტების ფიცი“), ქართველ მწერლებსაც უჩნდებათ გარკვეული იმედი ახალ ხელისუფლებასთან რამდენადმე გონივრული ფორმით თანამშრომლობის შესახებ. მართალია, 1924 წლის რეპრესიებს პირველი იმედგაცრუება მოაქვს, თუმცა 1926-ში გამართულ მწერალთა პირველ ყრილობაზე დამსწრენი არა უსიტყვოდ ისმენენ რეჟიმის წარმომადგენელთა გამოსვლებს, ან უსასრულოდ უკრავენ ტაშს, როგორც ეს მოგვიანებით, 30-50-იან წლებში ხდებოდა, არამედ თამამად ერთვებიან დისკუსიაში და თავიანთ მოსაზრებებს ღიად გამოთქვამენ. მას შემდეგ, რაც კონსტანტინე გამსახურდია წამოაყენებს ცნობილ კულტურპოლიტიკის იდეას, ქართველ მწერალთა სიტყვა რეზონანსულობას იძენს. ცხადია, არა ყველა მწერლის, არამედ შემოქმედებითი ინტელიგენციის იმ ბირთვის, რომლისთვისაც ეროვნულ ცნობიერებას, ეროვნულ მწერლობას, შემოქმედებით თავისუფლებასა და გამომსახველობით ფორმათა მრავალფეროვნებას სერიოზული აზრობრივი დატვირთვა გააჩნია. ვახტანგ კოტეტიშვილი ამ დროისთვის საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეა და დიპლომატიური გამოსვლით ცდილობს იმხანად არსებული ოთხი ლიტერატურული გაერთიანება-კორპორაცია (საქართველოს მწერალთა კავშირი, სრულიად საქართველოს ახალი მწერალთა კავშირი, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირი და ქართველი ფუტურისტები) ლამის საკრალური თავისუფლების პირობებში ერთ საერთო პლატფორმაზე დააყენოს – ესაა ქართული კულტურის უანგარო სამსახური: „გუშინ მომხსენებელმა ამხ. ფ. მახარაძემ, რომელიც იმავე დროს მთავრობის წარმომადგენელი იყო, განაცხადა: „ჩვენ გვაინტერესებს ერთი რამ, იღებს რევოლიუციას თუ არა მწერლობა და თუ იღებს – შემდეგ სწერეთ როგორც გინდათ, გინდ ყირამალა დააყენეთ ასოები, გინდ ტახტზე წაანვინეთო...“ და სხვ. აი, ეს არის უძვირფასესი, რაც გუშინ მოვისმინეთ და დაგარწმუნებთ, რომ თუ ეს განცხადება იქნება ერთგვარი გარანტიის ქვეშ დაყენებული, ე. ი. თუ ქართველ მწერლებს მიეცემათ საშუალება, რომ გეგემონობა არც ერთ მიმართულებას არ ექნება, არამედ ყველას ექნება შემოქმედების თავისუფლება, მე გარწმუნებთ, რომ სრულებით წაიშლება ის განსხვავება, ის საშიში უნდობლობა, რომელიც

აქამდე ყველას გვიშლიდა ხელს...“ (საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობის სტენოგრაფული ჩანაწერები, 1926).

მიუხედავად იმისა, რომ გარანტიები მყარი არ აღმოჩნდა, ბოლშევიკებმა კი კულტურაზე სრული კონტროლი მოინდომეს და ქართველ მწერალთა და ხელოვანთა მრავალწლიანი შრომა სოცრელიზმის ჩარჩოებში გამოამწყვდიეს, ყრილობიდან დაახლოებით 7-8 წლის განმავლობაში, თუ უფრო დავაკონკრეტებთ, 1932 წელს მთავრობის მიერ შემოქმედებითი კავშირების გაუქმების შესახებ მიღებული რეზოლუციის რეალურად ამოქმედებამდე, ჯერ კიდევ არსებობდა საშუალება კულტურისთვის არაერთი სასარგებლო საქმის კეთებისა. ვახტანგ კოტეტიშვილმა სწორედ ამ წლებში შექმნა ქართული მწერლობის ისტორიის სამტომეული, რომელსაც ჰქონდა არა მარტო ესთეტიკურ-შემეცნებითი მნიშვნელობა. ამ ფუნდამენტური ნაშრომით ავტორმა გააგრძელა კულტურგენეზის კვლევის ის პროცესი, რომელმაც მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან ფართო მასშტაბი შეიძინა. გარდა ამისა, ეს იყო ჩვენი კულტურული მეხსიერების დალაგების, მომავალში მისი შერყვისა და ტენდენციური ინტერპრეტაციებისგან დაცვის წარმატებული ცდა. თაობები, რომელთა ცნობიერების შეცვლას ცდილობდნენ „ახალი სამოთხის“ შემქმნელი ბოლშევიკები, ეცნობოდნენ იპოლიტ ტენის, გეორგ ბრანდესისა თუ გუსტავ იუნგის მეთოდოლოგიის ჭრილში განხილულ ერის შემოქმედებით ისტორიას, აღადგენდნენ მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს და ამით პიროვნულ ავტონომიურობას ინარჩუნებდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ფოლკლორული ნიმუშების ატომეული-სა და ყაზბეგისადმი მიძღვნილი გამოკვლევის შესახებ. სხვათა შორის, ყაზბეგის ტრაგედია ვახტანგ კოტეტიშვილმა კულტურისა (ხევი, თავისი ტრადიციებით) და ცივილიზაციის (რუსული ექსპანსია, რომელიც არ ცნობს კულტურის უკვე არსებულ შრეებს) საბედისწერო დაპირისპირებით ახსნა: „...ხევის ავტონომიურობა ვერ მიიღო ახალმა დრომ და ცივილიზაციამ მიაყენა თავისი კაცების დიდი ჯარი. ხევი იფშვნება ნოტიო კლდესავით... ხევეს კლავენ... აღ. ყაზბეგი ირონიითა და შიშით უცქერდა „ახლის“ სიმშრალეს და ადრევე ჰქონდა გამოტანილი მისთვის საბრალმდებო განაჩენი...“ (ჟ. კავკასიონი, 1924).

რამდენიმე ამონაწერი სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული მისი ლიტერატურულ-ესთეტიკური წერილებიდან გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის ვახტანგ კოტეტიშვილზე, როგორც ლიტერატურული პროცესების ღრმა ანალიტიკოსსა და ნოვატორზე. აი, რას წერდა იგი: „ძველი საუნჯენი აღარ არსებობენ, ახალთა შექმნის საფეხურზე ვდგევართ...“, „პოეზიის ძველი ფორმა გაცვდა. საჭიროა სიტყვათა ახალი კომბინაცია. უცხოეთის თანამედროვე ლიტერატურაში თავისუფალი ლექსი მტკიცდება. ასონანსი, უფრო კი სრული ურითმობა ეუფლება პოეზიას. პროზა პოეზიას ეჯიბრება. უკეთ: პროზასა და პოეზიას შორის საზღვარი იშლება...“, „დღეს შემოქმედება ამღერება კი არ არის, არამედ შემეცნების პოეზია... აქ სიტყვას ისეთივე სისწორე უნდა, როგორც ფილოსოფიაში, მხოლოდ იმ დამატებით, რომ აქ მეტი უნდა იყოს სიტყვის გზნება და დინამიკა. ყველა მწერალს უნდა სიტყვათა საკუთარი კლასიფიკაცია და არა საკუთარი სიტყვები...“, „ჩვენ ენა დავამახინჯეთ, რადგან თვით ჩვენ დავმახინჯდით, დაგვამახინჯეს“, „ნამდვილი კრიტიკა თავისი ესთეტიკური შემეცნების თეორიით ჯერ არ არსებობს...“, „იდეის შემწნევისა და სიტყვის ხმარების უნარი უკვე სტანჯავს ქართველ მწერალს და რაც უმთავრესია,

თავისთავად ყოფნის სურვილი ფეხს იკიდებს მის შეგნებაში. გუშინ ანეულ თავით მოსიარულენი, დღეს უკვე ვეძებთ შინაგან საუნჯეთა დაკარგულ გასაღებს...“, „რასაკვირველია, ხელოვნება რთული და ცვალებადი მოვლენაა, რომლის სქოლიოებში მოქცევა მეტად ძნელია...“.

30-იან წლებში, ვიდრე „ჩეკას“ ჯურღმულებში მოხვედრამდე, ვახტანგ კოტეტიშვილი უნივერსიტეტის საბჭოს რეკომენდაციით პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს. მისი ლექციები ქართული ფოლკლორის ისტორიასა და პოეტიკაში ინფორმაციულად დატვირთული, ღრმად გააზრებული და საინტერესოდ მიწოდებული, რადგან თითოეული ასეთი შეხვედრა ინტელექტუალურ პერფორმანსს ემსგავსება. თუმცა გულანთებული ჭაბუკებისა და ქალიშვილების გვერდით სულ უფრო ჭარბობს აქტივისტ კომკავშირელთა ეგზალტირებული ჯგუფები, რომლებიც თავიანთ ლექტორს წარსულში ჩარჩენილ ნაციონალისტსა და რეაქციონერს უწოდებენ. 1931 წელს გაზეთი „კომუნისტიც“ ბეჭდავს ანალოგიური ხასიათის სტატიას, რაც სათანადო ორგანოებისთვის სამოქმედო დირექტივად, ერთგვარ სიგნალად უნდა იქცეს... კრიტიკოსი ლევან ბრეგვაძე კრებულში „ანტისაბჭოური მესხიერება“ მიუთითებს იმ დროისათვის ძალზე აქტუალურ, შეიძლება ითქვას, კულტურ-პოლიტიკის წამყვან ტენდენციაზე, რომელსაც „ურავნილოვკას“ (გათანაბრებას) უწოდებდნენ. იგი მოითხოვდა სწორებას არა ნიჭიერ, მოაზროვნე და გამორჩეულ პიროვნებაზე, არამედ სწორედ რომ უნიჭოსა და უსახურ, ფაქტობრივად კი, ადვილად სამართავ ადამიანებზე. ამ კონტექსტში ვახტანგ კოტეტიშვილი ვერანაირად ვერ ჩაენერებოდა. მისი თავიდან მოცილება კი არაერთ პრობლემას მოუხსნიდა არაორდინალური ლექტორის გამო ნახევრად ცარიელ აუდიტორიებში დარჩენილ ლექტორებსა და სამეცნიერო კარიერის მაძიებელთ...

დღეს, ვახტანგ კოტეტიშვილის დახვრეტიდან თითქმის 80 წლის შემდეგ, როდესაც საიდუმლოს აღარ წარმოადგენს საბჭოთა რეჟიმისთვის არასაიმედო ადამიანთა დაპატიმრების მექანიზმი, როდესაც მეტ-ნაკლებად ცნობილია „ჩეკაში“ დაწერილი სცენარებიცა და სცენარისტებიც, შეგვიძლია სრულად აღვადგინოთ მომხდარის რეალური სურათი. თუმცა, ვფიქრობ, უფრო მეტ პატივს მაშინ მივაგებთ ჩვენს სახელოვან წინაპარს, თუ საფუძვლიანად შევისწავლით მის სულიერ მემკვიდრეობას და ამ ცოდნას ახალგაზრდებს გადავცემთ.